აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№71 (24.951) შაბათი, 9 - 11 ივლისი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 25-30, შიდამთიან რაიონებში - 23-28, მაღალ მთაში - 17-22 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 21 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 754 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

„ავსტრია მკაფიოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს“

„მე, როგორც ფედერალურმა კანცლერმა, საქართველოს მივეცი გარანტია, რომ ევროკომისიის მიერ კანდიდატის სტატუსის მისაღებად მოცემული რეკომენდაციების შესრულების გზაზე ავსტრია დადებით როლს ითამაშებს და ხელს შეუწყობს საქართველოს, რომ შევქმნათ ერთობლივი სივრცე, რომელიც სტაბილურობის და უსაფრთხოების გარანტიებს მოგვცემს უსაფრთხოების პოლიტიკის კუთხით შექმნილ ამ ურთულეს ვითარებაში,“ - განაცხადა ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა კარლ ნეჰამერმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე. როგორც მან აღნიშნა: „საქართველოს კონფლიქტების თვალსაზრისით, ძალიან მწარე გამოცდილება აქვს, თუმცა რეგიონში საქართველო აღიქმება, როგორც კონფლიქტურ მხარეებს შორის უაღრესად სანდო შუამავალი და ვფიქრობ, ეს პერსპექტივა ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჩვენი კარგი ურთიერთობებისთვის და იმისთვის, რომ მას დასავლურ გზაზე მხარი დავუჭიროთ, იმაზე, უკვე რაც გაკეთდა და რაც გაკეთდება. მე, ჩემი მხრიდან, როგორც ავსტრიის ფედერალურმა კანცლერმა, მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო იმ მიდგომებისთვის, რომელსაც საქართველო 20%-ის ოკუპაციის პირობებში მშვიდობის კუთხით ინარჩუნებს. ამ მხრივ საქართველო მართლაც მნიშვნელოვანი პარტნიორია.“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, საქართველოს და ავსტრიას აქვთ დიდი პოტენციალი, რომ კიდევ უფრო მეტად გააღრმაონ ურთიერთთანამშრომლობა ყველა მიმართულებით.

„ბატონო კანცლერო, ძვირფასო კოლეგავ. მინდა, პირველ რიგში მადლობა გადაგიხადოთ მოწვევისთვის. ეს არის ჩემი პირველი ოფიციალური ვიზიტი ავსტრიაში და ძალიან მოხარული ვარ ამ ფაქტით. დიდი პატივია ჩემთვის დღეს აქ ყოფნა, მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ძალიან ვაფასებთ ავსტრიასთან მეგობრობას, ურთიერთობას, თანამშრომლობას. ჩვენ კანცლერთან ვისაუბრეთ იმ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, რომელზეც უნდა მოვახდინოთ ფოკუსირება მომდევნო თვეების და წლების განმავლობაში. ჩვენ გვაქვს დიდი პოტენციალი, რომ კიდევ უფრო მეტად გავაღრმაოთ, გავაძლიეროთ ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა ყველა მიმართულებით, იქნება ეს ეკონომიკა, ვაჭრობა, თუ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ქართველები იზიარებენ საერთო ევროპულ ღირებულებებს და მთავარი მოტივაციაა, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა.

„ჩვენთვის, ქართველებისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდია, ჩვენ ველოდებოდით ევროკომისიის გადაწყვეტილებას. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება შეფასებულ იქნას როგორც ისტორიული, როგორც ეს თავად ევროპელმა ლიდერებმა განაცხადეს. ქართველები ვიზიარებთ საერთო ევროპულ ღირებულებებს, ჩვენთვის მთავარი მოტივაციაა, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა, დიდი ევროპული ოჯახის წევრი ქვეყანა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რა თქმა უნდა, ჩვენთვის ევროპული პერსპექტივის მონიჭება არის წლების განმავლობაში მიღწეული პროგრესის აღიარება... მინდა, მადლიერებით აღვნიშნო, რომ ჩვენ ძალიან ვაფასებთ განვითარების სფეროში ავსტრიასთან თანამშრომლობის მრავალწლიან გამოცდილებას. ბატონმა კანცლერმა კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა მზაობა, რომ ავსტრია დაეხმაროს საქართველოს სხვადასხვა მიმართულებით. თქვენ აღნიშნეთ, თუნდაც რეფორმები და სხვა მიღწეული პროგრესი, რომელიც თქვენ გაქვთ. ავსტრია შეიძლება ითქვას, საუკეთესო მაგალითია საქართველოსთვის. კიდევ ერთხელ მინდა, დავადასტურო, რომ მოხარული ვიქნები, ჩვენი თანამშრომლობის, მეგობრობის კიდევ უფრო გაძლიერებით. მადლობა ბატონ კანცლერს მოწვევისთვის. მჯერა, რომ ბატონი კანცლერი ეწვევა საქართველოს“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ბრიფინგის შემდეგ კარლ ნეჰამერმა „ტვიტერზე“ დაწერა:

„2022 წელს საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის იუბილეს ვზეიმობთ. ჩვენ ასევე გვაკავშირებს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები, შესაბამისად, ძალიან გამიხარდა პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრა! განსახილველი თემები იყო ჩვენი ორმხრივი თანამშრომლობა და ევროკავშირთან შემდგომი დაახლოების შესაძლებლობები. საუბარი ასევე შეეხო უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის თავდასხმით ომს, რომელსაც ჩვენ ორივე ვგმობთ. აქ არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს გაყინული კონფლიქტები სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში. ავსტრია მკაფიოდ უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს“.

მოამზადა
ელენე საყვარელიძემ

კრიალოსა N იუსი

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საქართველოში ევროპის საბჭოს ხელმძღვანელ ნატალია ვუტოვასთან შეხვედრა გამართა. განიხილეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით რეკომენდაციები, მათი განხორციელების კუთხით საქართველოს გეგმები და ევროპის საბჭოს ჩართულობის შესაძლებლობები. ნატალია ვუტოვამ ევროპის საბჭოს მხრიდან დაგეგმილ რეფორმებში ჩართულობისა და შესაბამისი მხარდაჭერისთვის მზაობა გამოხატა.

* * *

„ქართული ოცნებიდან“ გასული დეპუტატის დიმიტრი ხუნდაძის განცხადებით, ამერიკის ელჩის დუმილი და ომის პარტიების ირიბი თუ ღია მხარდაჭერა ანგრევს საქართველოში ევროატლანტიკულ ღირებულებებს. „საქართველო და მისი ხელისუფლება დღეს ორმხრივი ზეწოლის ქვეშ იმყოფება - ერთი მხრივ, დასავლეთის მხრიდან, ხოლო მეორე მხრივ რუსეთიდან ოკუპირებული ტერიტორიების შანტაჟითა და იარაღის ჟღარუნით. ამერიკის ელჩს შეუძლია ნეგატიური დუმილის ნაცვლად, პოზიტიურად გამიჯნოს გამიზნული დესტრუქცია და შესაძლო ომი საქართველოში პროცესის სწორი განვითარების შესაძლებლობისაგან, რაც დიდი და პატარა ქვეყნების საერთო ინტერესში უნდა იქნას განხილული,“ - განაცხადა ხუნდაძემ.

* * *

შეიძლება დაუშვა დაბალი საარჩევნო ბარიერი, რომ პარლამენტში რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ჯგუფი შევიდეს, მაგრამ თუ სამუშაოს საბოტაჟი და დაპირისპირება ჩაანაცვლებს, რასაკვირველია, სტანდარტული - 5%-იანი ბარიერის დატოვება სჯობს, - განაცხადა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გია ვოლსკიმ. მისი თქმით, როცა მმართველმა პარტიამ ნაბიჯი დაბალი ბარიერისკენ გადადგა, პარლამენტში მეტი პოლიტიკური პარტიის, პლურალიზმისა და აზრთა სხვადასხვაობის მიზანი ამოძრავებდა. „თუკი 2%-იანი ბარიერი მოგვიტანს დეპოლარიზაციას, რატომაც არა - იყოს ბარიერი 2%, მაგრამ იმ წინაპირობით, რომ დეპოლარიზაციის ნიშნები დაეტყოს რომელიმე ორგანიზაციას, ვინც დღეს რადიკალურ ფრთაზე დგას“, - განაცხადა გია ვოლსკიმ.

* * *

ადვოკატი ვალერი გელბახიანი არ გამორიცხავს, რომ ყოფილი პრეზიდენტის სასჯელის გადავადების საკითხზე მიხეილ სააკაშვილის საქმეში ჩაერთოს, თუ ამის საჭიროება იქნება. „რასაც გკითხულობ გამოქვეყნებულ დასკვნებს, შეუძლებელია პენიტენციურმა დაწესებულებამ თქვას, რომ ასეთი დაავადების განკურნებას შეძლებს. მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტი იყო თუ არა, ამას კი არ უნდა მიექცეს ყურადღება, არამედ დაავადების განკურნება არის თუ არა პენიტენციურ დაწესებულებაში შესაძლებელი“, - თქვა მან.

მოამზადა
ია შველიძემ

სარაგბო ზეიმი გრძელდება, ერთად დავდოთ ლელო

2

«ღონისძიებებს, რომლებსაც ვგეგმავ, აუცილებლად უნდა ახლდეს თეატრალიზებული ელემენტები»

5

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

აჭარა და ქვემო სილეზია თანამშრომლობას აღრმავებენ

რეგიონში ოფიციალური ვიზიტით პოლონეთის დელეგაცია იმყოფება, რომლის შემადგენლობაში ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმის, მარშალის ოფისის, ბიზნესწრეებისა და მასმედიის წარმომადგენლები არიან

აღსანიშნავია, რომ 2016 წლის 27 თებერვალს, ქალაქ ვროცლავში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ქვემო სილეზიის სავოევოდოს შორის რეგიონული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა, რომელიც მხარეებს შორის სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობას ითვალისწინებს.

დელეგაციის ხელმძღვანელთან, ქვემო სილეზიის სავოევოდოს ვიცე-მარშალ მარჩინ ქშიჟანოვსკისთან შეხვედრა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა ჯაბა ფუტკარაძემ და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა გამართეს. შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე ოთარ დიასამიძე, აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანი, ქვემო სილეზიის რეგიონული პარლამენტის დეპუტატები და პოლონური მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ჯაბა ფუტკარაძემ ვიცე-მარშალს აჭარაში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო. საუბარი აჭარის საინვესტიციო გარემოს შეეხო. აღინიშნა, რომ აჭარას და ქვემო სილეზიას თანამშრომლობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და დღემდე, სხვადასხვა სფეროში არაერთი პროექტი ხორციელდება. შეხვედრაზე ახალი ბიზნესპროექტების განხორციელების კუთხით თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს. ზაფხულში აჭარა საინვესტიციო ფორუმს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობას პოლონელი ბიზნესექტორის წარმომადგენლები მიიღებენ.

აჭარის განათლების მინისტრმა შეხვედრაზე პოლონეთში წარმატებულ სტუდენტურ გაცვლით პროგრამაზე ისაუბრა და პოლონურ მხარეს განათლების მხარდაჭერისთვის, ასევე მიმდინარე წლის 26 მაისს, ვროცლავში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ორგანიზებისათვის მადლობა გადაუხადა, ხაზი გაუსვა პანდემიის დროს პოლონური მხარის ძალისხმევას სკოლის მოსწავლეების ორმხრივი გაცვლითი პროექტის განხორციელებაში. მომავალი წლისთვის ბათუმში იგეგმება მასწავლებელთა ერთობლივი კონფერენციის ორგანიზება STEM-ის მიმართულებით.

შეხვედრაზე ისაუბრეს უკრაინიდან ჩამოსული ბავშვებისათვის განათლების ხელმისაწვდომობისთვის რეგიონში და სრულიად საქართველოში გადადგმულ ნაბიჯებზე.

თავის მხრივ, პოლონურმა მხარემ ხაზი გაუსვა საქართველოსა და პოლონეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლისთავს და მასთან დაკავშირებით გამართული ღონისძიებების მნიშვნელობას, გააჟღერა ინიციატივა თანამშრომლობის გაძლიერების თაობაზე სპორტის სფეროში, ასევე, ჯაზის მიმართულებით.

ელენე საძვარელიძე

სოფლის მეურნეობის მინისტრი – მთიან აჭარაში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, მინისტრის მოადგილე არჩილ ბერიძე, აგროსერვისცენტრის დირექტორი რაულ თავართქილაძე, მისი მოადგილე იოსებ აბულაძე ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში იმყოფებოდნენ

თავდაპირველად, სოფელ წონიარისში თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საკალმახე მეურნეობა, კალმახის საინკუბაციო საამქრო დაათვალიერეს და არსებულ სიტუაციას გაეცნენ.

მეურნეობა სხვადასხვა სახეობის კალმახის ქვირითის გამოყვანაზე და ხარისხიანი სასაქონლო კალმახის წარმოებაზეა ორიენტირებული. პროდუქცია როგორც ადგილობრივ ბაზარს, ასევე სუპერმარკეტების ქსელს მიეწოდება.

- რეგიონის განვითარებისთვის მსგავსი ტიპის საწარმოების ამოქმედებას გამორჩეული მნიშვნელობა აქვს. აჭარა, განსაკუთრებით ქედა, გამორჩეულია თევზის რეწვის კუთხით. აქ განსაკუთრებული პირობებია თევზის მოშენებისთვის. აღნიშნული მეურნეობების განვითარება ხელს უწყობს ადგილობრივების დასაქმებას. - განაცხადა ზაზა შავაძემ.

სტუმრებს მეგზურობას ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე იმედა ვასაძე უწევდა.

იხ. მე-6 გვ.

სარაგბო ზეიმი გრძელდება, ერთად დავდოთ ლელო

ბათუმში 10 ივლისს საქართველოს ნაკრები რაგბიში იტალიის ნაკრებს დაუპირისპირდება. მატჩის მოლოდინი დიდია, ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ დიდი სარაგბო ზეიმი უკვე დაიწყო. ქუთაისიდან ესტაფეტა გუშინ ჩვენმა ქალაქმა ჩაიბარა და საზეიმო ღონისძიებებსაც უმასპინძლა ევროპის მოედანზე. მიუზიკლი „გაყრა“, „ფანკ ბენდი“, ჯგუფი „მგზავრები“ და Dj „გურული“ იხილა პირველ დღეს აქ შეკრებილმა რაგბის გულშემატკივარმა თუ რიგითმა გამვლელმა. დღეს კი ბათუმის ქუჩებში დრამების შოუ გაიმართება, ბულვარში - თამაშები ქვიშის სახეობებში, ფოლკლორული შოუ და ანსამბლ „არსიანის“ კონცერტი - გონიოს ციხეში.

ევროპის მოედანზე „სუხიშვილები“ იცეკვებენ... მატჩის დღეს, სტადიონის მიმდებარედ, დრამების შოუ გაიმართება. მათ, ვინც სტადიონზე ვერ მოხვდება, საშუალება ექნება თამაშს დიდ ეკრანზე ადევნოს თვალი. ბათუმის გარდა, დიდი ეკრანები საქართველოს სხვა ქალაქებშიც დამონტაჟდება და ერთობლივი ქომაგობის საშუალება რაგბის გულშემატკივარს მთელი ქვეყნის მასშტაბით ექნება.

რადგან იტალიასთან გასამართი მატჩის მიმართ ინტერესი დიდია, საქართველოს რკინიგზამ თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით დამატებითი რეისი დანიშნა - 4 ვაგონისგან შემდგარი (400 ადგილი) კომფორტული მატარებელი.

საქართველო-იტალიის მატჩი 20 საათზე დაიწყება.

ერთად ვუგულშემატკივროთ და ერთად დავდოთ ლელო!

ანკა ჩხიკვაძე

ავტოპარკის განახლება დაიწყო

ბათუმის ავტოპარკის განახლების პროცესი დაიწყო. აჭარის მთავრობისა და ბათუმის მუნიციპალიტეტის ფინანსური რესურსის მობილიზებით, ქალაქს 60 ერთეული, თანამედროვე სტანდარტის ახალი ავტობუსი შეემატება.

- ბოლო ორი წლის განმავლობაში შევიძინეთ ეკოლოგიურად სუფთა, ადაპტირებული 8 ელექტრო და 40 ISUZU-ს ტიპის ახალი ავტობუსი. ჩვენი ამბიციაა, უახლოეს პერიოდში ბათუმის ავტოპარკი სრულად განახლდეს და ძველი, ყვითელი ავტობუსები თანამედროვე ავტობუსებით ჩანაცვლდეს.

გრძელდება ელექტროტაბლოების განახლება, რომელიც EBRD-ის გრანტის ფარგლებში ხორციელდება. გათვალისწინებულია 60 ერთეული ახალი საინფორმაციო ტაბლოს დამონტაჟება, ასევე იგეგმება ინტეგრირებული აპარატების სისტემის დანერგვა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მგზავრობის საფასურის გადახდა ნებისმიერი საბანკო ბარათით. რაც შეეხება საგზაო მონიშვნებს, ქალაქის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს.

ბათუმში საგრძნობლად იმატა ავტომობილების რაოდენობამ, რამაც, გარკვეულწილად, განაპირობა საპარკინგე სივრცის ნაკლებობა. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საერთაშორისო პროექტის ფარგლებში ვმუშაობთ პარკირების ოპტიმიზაციისა და ეფექტური მართვის კუთხით.

ბათუმში საკმაოდ პოპულარულია ველოტრანსპორტი. აქედან გამომდინარე, ვმუშაობთ ველოგადაადგილების გენგეგმაზე, რომელიც უკვე დასრულების ეტაპზეა. გენერალური გეგმა უზრუნველყოფს ველოსიპედის, როგორც ურბანული ტრანსპორტის სახეობად დანერგვასა და მის ინტეგრაციას საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემაში.

აღნიშნული პროექტების დასრულების შემდეგ, გადაადგილების მიმართულებით, ბათუმი გახდება ყველაზე კომფორტული ქალაქი, - აცხადებს ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი.

უნგრელები – აჭარაზე

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციას აგრძელებს. ამჯერად მათ უნგრელ ჟურნალისტებს უმასპინძლეს, რომლებიც რეგიონის ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების შესახებ სტატიებს მოამზადებენ. ბათუმის, როგორც საზღვაო ქალაქის ძირითადი ტურისტული ადგილების მონახულების შემდეგ, ჟურნალისტებმა მთიან აჭარაში გადაინაცვლეს, სადაც ადგილობრივი სამზარეულო და ღვინო დააგემოვნეს. პეტრასა და გონიოს ციხეები, ქალაქის ძირითადი მუზეუმები, ბოტანიკური ბაღი და ქედის ტურისტული ღირსშესანიშნაობები იმ ტურისტულ ადგილებს შორის იქნება, რომლის შესახებაც შთაბეჭდილებებს უნგრელი ჟურნალისტები მკითხველებს გაუზიარებენ.

საერთაშორისო და შიდა მედიაში აჭარის შესახებ სტატიების, რეპორტაჟებისა და გადაცემების მომზადების, ასევე რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით, აჭარას მედიისა და ტურისტული კომპანიების 259 წარმომადგენელი სტუმრობდა.

ანკა ჩხიკვაძე

„კრემლისთვის მიუღებელია მისი ისტორიული გავლენის ზონაში თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69



მსოფლიო ახალი რეალობის წინაშეა - რუსეთმა ფართომასშტაბიანი ომი წამოიწყო უკრაინის და, ზოგადად, დასავლეთის წინააღმდეგ. მთელი მსოფლიო არა მარტო გმობს კრემლის აგრესიას უკრაინის მიმართ, არამედ აგრესიის ობიექტს ეხმარება სახელმწიფოებრიობის დაცვაში. ეს უდავოა. ჩნდება კითხვები: მოსალოდნელია თუ არა აგრესიული ფონის ზრდა? შეძლებს თუ არა დასავლეთი რუსეთის შეკავებას? კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე უარის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ვის დაეკისრება? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე საკუთარ თვალსაზრისს ბსუ-ის პროფესორი ***ლაშა ბაჟუნაიშვილი*** *გვიზიარებს.*

- ამჟამად დასავლეთის და რუსეთის დაპირისპირების არეალი უკრაინაა. რა მიზანი ამოძრავებთ როგორც რუსეთს, ისე აშშ-ს და, ზოგადად, დასავლეთს უკრაინასთან მიმართებით?

- კონკრეტულ სტრატეგიულ მიზნებზე საუბარი ძალიან რთულია, რადგან დეკლარირებულად ამაზე არცერთი მხარე არ საუბრობს. ყველა ზოგადი განცხადებებით შემოიფარგლება, მაგრამ წარსულსა და აწმყოში რეგიონში განვითარებულ ან მიმდინარე მოვლენებს, ასევე წამყვანი სახელმწიფოების ლიდერების განცხადებებს და მათ პოლიტიკურ (მათ შორის სამხედრო) ნაბიჯებს თუ დავაკვირდებით, აშკარაა, რომ ორივე მხარე (დასავლეთი და რუსეთი) რეგიონში დიდი ცვლილებებისთვის არიან კონცენტრირებული. რუსეთის ტრადიციული ინტერესია, აღიდგინოს 1991 წლის შემდეგ დაკარგული გავლენები ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში, შავ ზღვასა და კავკასიაში. ეს უკანასკნელი ევროპისთვის ალტერნატიული ენერგოტრანზიტისა და ახალი აბრეშუმის გზის „შუა კორიდორის“ მარშრუტის განვითარების კუთხით უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ კვანძს წარმოადგენს. მოსკოვის თვალთახედვით, თავისი მიზნების მისაღწევად აუცილებელია, „ახლო სამეზობლოში“ აღდგეს რუსული გავლენა. ამისთვის იგი მოითხოვს არა მხოლოდ ევროატლანტიკური სტრუქტურების გაფართოების შეწყვეტას, არამედ მის უკან დახევას 1997 წლის პოზიციაზე. ბუნებრივია, კრემლში ყველაზე რეაქციული ფრთაც კი კარგად ხვდება, რომ ეს მარტივი არ იქნება, ამიტომ უკრაინაში, მანამდე კი საქართველოში შემოჭრით იგი ცდილობს მიიტაცოს ის გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი სივრცეები, რომლებიც მისი ტრადიციული „ბუფერებით შემოსაზღვრის სტრატეგიას“ მინიმალურად მაინც დააკმაყოფილებს. ევროატლანტიკურ ალიანსს რეგიონში ორი მნიშვნელოვანი მიზანი აქვს: პირველი - უზრუნველყოს ნატოს და ევროკავშირის ქვეყნების უსაფრთხოება, შექმნას რუსეთისაგან დამოუკიდებელი, ალტერნატიული ენერგო და სავაჭრო-სატრანზიტო დერეფანი, ამისთვის კი აუცილებელია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მიიწვიონ აღმოსავლეთ ევროპის ის ქვეყნები, რომლებსაც ცენტრალური აზიის რეგიონთან დამაკავშირებელი საზღვაო და სახმელეთო გზების განვითარების შესაძლებლობები აქვს. ამ თვალსაზრისით თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ევროპის კავშირში გაწევრიანებით დასავლეთი მიიღებს წმინდად „ევროპულ ენერგოდერეფანს“, რომლითაც შეძლებს რუსეთისაგან დამოუკიდებლად კასპიის აუზის და ირანის ენერგომატარებლების ტრანსპორტირებას ევროპულ ბაზრებზე, ხოლო ჩინეთთან ვაჭრობისას - ალტერნატიული და დივერსიფიცირებული კომუნიკაციები შექმნას (ამ კუთხით უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგური, რომლის აგებაც ამჟამად, რუსული ინტერესების გამო, ფაქტობრივად, შეჩერებულია) როგორც სახმელეთო (თურქეთის თანამონაწილეობით), ასევე პირდაპირი საზღვაო გზით. ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შემდეგ მნიშვნელოვან გამოწვევად გადაიქცა სამხრეთის ფლანგის გაძლიერება, რომელიც მოითხოვს შავ ზღვაში ალიანსის პოზიციების გამყარებას, ამის საშუალებას კი ზღვის ნახევრად დახურული (იგულისხმება 1936 წლის მონტრეს კონვენციით დაწესებული შეზღუდვები) სტატუსი არ იძლევა, ამიტომ აუცილებელია მისი რევიზია. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიც დაინტერესებული არიან, რუსეთის მავნე გავლენებს თავი დააღწიონ, დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწოფო ააშენონ და გლობალურ თუ რეგიონულ საერთაშორისო საზოგადოებებში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ. ბუნებრივია, დასავლეთის გეგმები რუსეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. კრემლისთვის მიუღებელია მისი ისტორიული გავლენის ზონაში თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობა, ალტერნატიული, კონკურენტული სავაჭრო-სატრანზიტო პოტენციალის განვითარება და ყოველივეს ხისტ ძალას უპირისპირებს. მოსკოვი არა ცივილური პოლიტიკით, არამედ იარაღით უპირისპირდება დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებულ პარტნიორულ ურთიერთობებს, ძალის გამოყენებით ცდილობს, შეწყვეტოს მეზობელი სახელმწიფოების განვითარება და მათი საგარეო-პოლიტიკური არჩევანის თავისუფლება.

- მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპას ასეთი ფართომასშტაბიანი ომი არ ახსოვს. შეეძლო თუ არა დასავლეთს მისი თავიდან აცილება, თუნდაც 2014 წლიდან მძლავრი ეკონომიკური სანქციების დაწესებით?

- დღეს უკვე რთულია, ვისაუბროთ იმაზე, რის გაკეთება შეიძლებოდა ან რა შედეგს მოგვცემდა ესა თუ ის ღონისძიება, თუმცა ფაქტია, რომ რუსეთთან დაშოშმინების პოლიტიკამ არ იმუშავა, პირიქით, იგი აგრესიისკენ წაახალისა. ისტორიულად დასავლეთ ევროპას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, რომ ესმოდეს, რა შედეგები შეიძლება მოიტანოს „დაშოშმინების პოლიტიკამ“, თუმცა თაობების შემდეგ მან შეცდომა ისევ დაუშვა - ჯერ 2008, ხოლო შემდეგ 2014 წლის რუსულ აგრესიას მტკიცედ არ აღუდგა წინ, თუნდაც მკაცრი სანქციებით ან ევროატლანტიკური ინტეგრაციის სფეროში უფრო თამამი გადაწყვეტილებებით.

- რა აჩვენა მსოფლიოს უკრაინაში რუსეთის ომის მეხუთე თვემ?

- უპირველესად, აჩვენა, რომ უკრაინელები შეუპოვრად დაიცავენ სამშობლოს და თავისუფლებას. უკრაინელი ხალხის წინააღმდეგობამ, ასევე მოკავშირეთა ერთსულოვნებამ, მათმა სამხედრო-ეკონომიკურმა, დიპლომატიურმა, სხვა დახმარებამ და მსოფლიო საზოგადოების რეაქციებმა აჩვენეს, რომ სოლიდარობას და თავისუფლებისკენ სწრაფვას ვერანაირი არმია და სამხედრო უპირატესობა ვერ გადაწონის. უკრაინის მაგალითზე აშკარა გახდა, რომ თანამედროვე მსოფლიოში ძალადობის შეკავება არა მხოლოდ იარაღის, არამედ საერთაშორისო საზოგადოების კონსოლიდაციით და აგრესორი სახელმწიფოს „გეოპოლიტიკურ მარტოობაში“ დატოვებით, სანქციების, იზოლაციისა და გარიყვის შიშით არის შესაძლებელი.

- რა არის რუსეთისთვის სასურველი მაქსიმუმი და მინიმუმი ამ ომში?

- რუსეთი ცდილობს, უკრაინას სამხედრო ოპერაციების გზით წაართვას როგორც აღმოსავლეთი, ისე ზღვისპირა რეგიონები და იგი მეტწილად მოწყვიტოს შავ ზღვას. ეს სამხედრო მოქმედებები მეორე და მესამე ფაზასაც კარგად ეტყობა. სამხრეთში რუსების პროგრამა მაქსიმუმია - ოდესის რეგიონის გავლით დნესტრისპირეთთან დაამყაროს პირდაპირი სახმელეთო კონტაქტი და „ანაკონდის რკალით“ მოწყვიტოს იგი შავ ზღვას და მხოლოდ კონტინენტზე ჩაკეტილ სახელმწიფოდ გადააქციოს. ამით იგი სამი უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაჭრას შეეცდება: 1. მთლიანად დაამყარებს კონტროლს ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე; 2. შავი ზღვის სანაპიროებისგან მოწყვეტით უკრაინა დაკარგავს ეკონომიკური განვითარების უდიდეს პოტენციალს, საზღვაო და სატრანზიტო ფუნქციას. კიევს ევროპასთან ეკონომიკური ურთიერთობებისთვის მხოლოდ ერთადერთი - სახმელეთო გზა დარჩება, სადაც კომუნიკაციების განვითარება და მასზე სავაჭრო-სატრანზიტო სისტემების გადაწყობა ხანგრძლივი, რთული, ძვირადღირებული და, შესაბამისად, არარენტაბელურიც იქნება; 3. ეკონომიკურად დაუძლურებული უკრაინა მარტივად მოექცევა რუსეთის გავლენის ქვეშ.

- როგორ ფიქრობთ, უკრაინა საკმარის სამხედრო დახმარებას იღებს ამ ეტაპზე დასავლეთისგან, რომ ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნოს?

- ოფიციალური კიევის განცხადებით, ისინი ვერ იღებენ საკმარის იარაღს, თუმცა ომში ჩართული ქვეყნის მხრიდან მსგავსი განცხადებები გასაკვირი არ არის. უკრაინა მოტივირებულია, მტერს მეტი შემართებით გაუწიოს წინააღმდეგობა და ომის ქარცეცხლი მოსაზღვრე რუსეთის რეგიონებში გადაიტანოს. დასავლეთი შიშობს, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ინტენსიური საბრძოლო მოქმედებების გადატანა (თუნდაც შორს მსროლელი საარტილერიო და სარაკეტო საშუალებებით) მოსკოვს საშუალებას მისცემს, აამოქმედოს ბირთვული დოქტრინის ის მუხლები, რომელიც მას მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენების საფუძველს შეუქმნის (თუნდაც მცირე მუხტის ტაქტიკური შეიარაღების გამოყენებით). როგორც ჩანს, დასავლეთი დიდ ფსონს რუსეთის დაუძლურებისა და გამოფიტვის სტრატეგიაზე დებს. დრო ამ შემთხვევაში რუსეთის საწინააღმდეგოდ მუშაობს. თავის მხრივ, ოფიციალური კიევის დამოკიდებულებაც ობიექტურ შეფასებას მოითხოვს. ამჟამად შედარებით ნელი ტემპებით მიმდინარეობს უახლესი და უფრო ეფექტური სამხედრო ტექნიკისა და იარაღის მიწოდება, რომლითაც შესაძლებელია რუსეთის შეტევების მოგერიება. მართალია, გაჭიანურებული ომი უკრაინისგან კიდევ უფრო დიდ მსხვერპლს და ნგრევას მოითხოვს, თუმცა ფაქტია, რომ რუსეთის დამარცხება მხოლოდ დაუძლურების სტრატეგიით არის შესაძლებელი.

- რამდენად ერთიანია დასავლეთი უკრაინის მხარდაჭერის თვალსაზრისით? მაგალითად, საფრანგეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ რუსეთი არ უნდა დავამციროთ...

იხ. მე-7 გვ.

> *„თუკი რომელიმე სახელმწიფო ან ლიდერი ერთჯერადად განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ან განცხადებებს გააკეთებს, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთის აგრესიის მიმართ უარყოფითი, ხოლო უკრაინისადმი სოლიდარულ დამოკიდებულებას დასავლეთში ეროზია გაუჩნდა. მსგავსი ფუჭი წარმოდგენის შექმნა და მერე მისით მანიპულირება, თითქოს რუსეთ-უკრაინის საკითხში დასავლეთი სისტემურად არის სტრატიფიცირებული, მოსკოვის საინფორმაციო ომის წისქვილზე ასხამს წყალს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პერიოდულად მსგავსი განცხადებები შესაძლოა კონკრეტულ ინტერესებს ემსახურებოდეს*

უცხოეთი

ინდონეზიაში „დიდი ოცეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრები შეიკრიბნენ. „ჩვენი პასუხისმგებლობაა, მალე დავასრულოთ ომი და მოვაგვაროთ ჩვენი უთანხმოება მოლაპარაკებების მაგიდასთან და არა ბრძოლის ველზე“, - განაცხადა ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რეტნო მარსუდიმ შეხვედრის გახსნისას. მისი თქმით, ომის ზეგავლენა იგრძნობა გლობალურად - საკვებზე, ენერგორესურსებსა და ფისკალურ სივრცეზე. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა რუსეთს პირდაპირ განუცხადა, რომ უკრაინის მარცვლეულის ექსპორტი უნდა დაუშვას. „დიდი ოცეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი ესწრება. საგარეო უწყებების ხელმძღვანელთა ნაწილმა რუსეთის პირველ დიპლომატთან საერთო ფოტოს გადაღებაზე უარი თქვა.

* * *

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი პოსტიდან გადადგა. მან, ასევე, დატოვა „კონსერვატიული პარტიის“ თავმჯდომარის თანამდებობა. გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მთავრობიდან 60-მდე ადამიანის წასვლა. გადადგომების სერია სამშაბათს - საღამოს დაიწყო. პროცესი მოჰყვა პრემიერ-მინისტრის ბოდიშს სექსუალურ შევიწროებაში დადანაშაულებულ პარლამენტის წევრ კრის პინჩერის სკანდალთან დაკავშირებით. როგორც აღმოჩნდა, ჯონსონს დაავიწყდა, პინჩერის მანამდე ჩადენილი „არასათანადო“ ქცევის შესახებ ინფორმაცია მის დანიშვნამდე რომ მიაწოდეს.

* * *

ჩვენ უკვე ბევრჯერ გვსმენია, რომ დასავლეთს უნდა ჩვენთან ბრძოლა უკანასკნელ უკრაინელამდე. ეს უკრაინელი ხალხისთვის ტრაგედიაა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი აქეთკენ მიდის. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, ზოგადად, ჯერ არაფერი დაგვიწყია სერიოზულად, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა დუმის ფრაქციების ლიდერებთან შეხვედრაზე. მისი თქმით, მსოფლიო წესრიგის ნგრევა აშშ-ის პოლიტიკის გამო მოხდა, მისი შეჩერება შეუძლებელია, ხოლო დასავლეთის მცდელობები, დააწესოს საკუთარი მსოფლიო წესრიგი, განწირულია მარცხისთვის. პუტინის თქმით, რუსეთი მხარდაჭერით სარგებლობს, მათ შორის, აშშ-სა და ევროპაში და კიდევ უფრო მეტი მხარდამჭერი ეყოლება.

* * *

ყაზახეთის პრეზიდენტმა კასიმ-ჟომარტ ტოკაევმა ნავთობ-გაზის ეროვნულ კომპანიას დაავალა, ნავთობის გაყიდვის გზები რუსეთის გვერდის ავლით დასახოს. ტოკაევის შეფასებით, ნავთობის მიწოდების დივერსიფიცირება მნიშვნელოვანი ამოცანაა. „პრიორიტეტულ მიმართულებად ტრანსკასპიური მარშრუტი ითვლება. ვავალებ „ყაზმუნაიგაზს“, შეიმუშაოს ოპტიმალური ვარიანტი მისი რეალიზებისთვის“, - აღნიშნა პრეზიდენტმა. შეგახსენებთ, ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი ჩინეთში იწყება და ყაზახეთის გავლით გადის კასპიის ზღვაში, შემდეგ - აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში, საიდანაც შესაძლებელია ევროპის ქვეყნებთან დაკავშირება.

მოამზადა
ია შველიძემ

მმართველი გუნდის ახალი პოლიტიკური ვალდებულება და ოპოზიციის შეფასებები

ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებაზე მუშაობა დაიწყო. საპროცედურო კომიტეტში მსჯელობის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი ოპონენტებთან პოლარიზაციის აღმოფხვრის გეგმას განიხილავს. მისი თქმით, პროცესი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ რეკომენდაციების შესასრულებლად წამოიწყო, ინკლუზიურია და საჭიროა ყველა პოლიტიკური ჯგუფი ჩაერთოს.

„ქართული ოცნების“ მიერ გამოქვეყნებული გეგმის თანახმად, დეპოლარიზაციის ხელშესაწყობად, პარლამენტის ბაზაზე, ყველა საპარლამენტო პარტიის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისა და საერთაშორისო პარტნიორების მონაწილეობით, პოლარიზაციის მონიტორინგის ჯგუფი უნდა შეიქმნას, რომელიც პერმანენტულ მონიტორინგს განახორციელებს და საზოგადოებას წა-

რუდგენს ყოველკვირეულ ანგარიშს პოლარიზაციის თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და ტენდენციების შესახებ. აღნიშნული ჯგუფის კოორდინაციას პარლამენტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს. თავის მხრივ, ოპოზიცია კონსულტაციებს მართავს, რომლის მთავარი თემა 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულების ალტერნატიული გეგმის შემუშავებაა.

მმართველმა პარტიამ ოპოზიციას რამდენიმე დღის წინ თანამშრომლობისკენ მოუწოდა და გადაწყვეტილება გააცნო, რომელიც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ბრიფინგზე გააჟღერა.

- დეკემბერში ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებიდან არა უგვიანეს 1 თვისა, საქართველოს პარლამენტი სამივე მოსმენით მიიღებს კონსტიტუციურ კანონს, რომლის თანახმად 2024 წლის და მისი მომდევნო საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით და 2%-იანი საარჩევნო ბარიერით ჩატარდება. ამ პოლიტიკურ ვალდებულებას ჩვენ ვიღებთ პარტიის პოლიტიკური საბჭოს და საპარლამენტო უმრავლესობის სახელით ევროპული საბჭოსა და ევროპული კომისიის წინაშე. ღრმად გვწამს, რომ საქართველოს მიერ კანდიდატის სტატუსის მიღება ხელს შეუწყობს ქვეყანაში პოლარიზაციის ხარისხის შემცირებას, რის შემდეგაც სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 2%-იანი საარჩევნო ბარიერით 2024 წელს ქვეყნისთვის ოპტიმალურ პოლიტიკურ მოცემულობას შექმნის. დარწმუნებული ვართ, „ნაციონალურ მოძრაობას“, თავისი სატელიტებით, 2024 წელს 2%-იანი ბარიერის პირობებშიც პირწმინდად დავამარცხებთ, რაც ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი, დემოკრატიული და სტაბილური განვითარების აუცილებელი პირობაა“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ. როგორც მან განმარტა, დღევანდელი მდგომარეობით, 2024 წლიდან საქართველოში ამოქმედდება სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა 5%-იანი ბარიერით, რაც ევროკავშირის ქვეყნებში ყველაზე ფართოდ გავრცელებული სისტემაა, ამასთან, არც მათი (ხელისუფლების) გეგმა მოიცავს საარჩევნო ბარიერის შემცირების საკითხს 2024 წლის და მისი მომდევნო საპარლამენტო არჩევნებისთვის. მეტიც, ირაკლი კობახიძის თქმით, შედარებით მაღალი ბარიერი სუბიექტურად ხელს აძლევს „ქართულ ოცნებას“, ხოლო შედარებით დაბალი ბარიერი - „ნაციონალურ მოძრაობას“, რის დასტურადაც პარტიის თავმჯდომარემ შარშანდელი არჩევნები მოიყვანა, როცა 5%-იანი ბარიერი მხოლოდ ორმა პარტიამ გადალახა - „ქართულმა ოცნებამ“ (47%) და „ნაციონალურმა მოძრაობამ“ (33%)ი.

- შარშანდელი არჩევნების მაგალითზე მარტივად ჩანს, რომ 5%-პროცენტიანი ბარიერის პირობებში, „ნაციონალურ მოძრაობას“ 2024 წელს წარმატების არავითარი შანსი არ ექნება, 2%-იანი ბარიერის პირობებში კი, მის მიერ ძალაუფლების დაბრუნების შანსი მნიშვნელოვნად იზრდება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 5%-იანი ბარიერი სრულიად ლეგიტიმური და რაციონალურია. შესაბამისად, შედარებით დაბალი ბარიერის დადგენა, რაც „ნაციონალური მოძრაობისთვის“ გარკვეული ფორის მიცემას ნიშნავს, ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გვიღირდეს, თუ ამ ნაბიჯით, სანაცვლოდ, ქვეყნისთვის რაიმე ძალზე მნიშვნელოვან სარგებელს მივიღებთ. ასეთი სარგებელი კი, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი რამ - ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება შეიძლება იყოს, რაც საქართველოში პოლარიზაციასაც არსებითად შეამცირებს. როგორც ცნობილია, რაც უფრო მაღალია პოლარიზაციის ხარისხი, მით უფრო მაღალი ბარიერის შენარჩუნებაა მიზანშეწონილი, ხოლო პოლარიზაციის შემცირება ბარიერის დაწევასთან დაკავშირებულ რისკებსაც სერიოზულად ამცირებს. შესაბამისად, კანდიდატის სტატუსის მიღებას, პოლარიზაციის შემცირებასა და დაბალი ბარიერის დაწესების მიზანშეწონილობას შორის პირდაპირი ლოგიკური კავშირი არსებობს, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

„ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას და პარლამენტის თავმჯდომარესთან დეპოლარიზაციის საკითხზე შეხვედრას არაერთგ-

ვაროვანი შეფასებები მოჰყვა ოპოზიციაში.

„გირჩის“ დეპუტატ იაგო ხვიჩიას განცხადებით, ახლა მიზანი უნდა იყოს ევროპელებისთვის თავის მოწონება, თუმცა ასეთი შთაბეჭდილება არ რჩება.

- ჩვენ ახლა უნდა ვცდილობდეთ, თავი მოვაწონოთ ევროპელებს, რომ 6 თვეში მაინც მოგვეცეს შესაძლებლობა, რომელიც ახლა არ მოგვეცა. ადამიანი, რომელსაც ვინმესთან ერთად სხვა იყოს, რომელიც ჩვენ არ ვიცით. ულტიმატუმი ჩვენგან არ არის, ევროპელებისგან არის ეს მოთხოვნა, რომ დეპოლარიზაცია მოვახდინოთ. ამისთვის ყველაზე ეფექტური ნაბიჯი არის საარჩევნო ბარიერის დაწევა. როცა ულტიმატუმზე საუბრობენ, ეს ულტიმატუმი იყო თუ არა, კარგად წაიკითხონ ევროპელების დოკუმენტებში, - განაცხადა ხვიჩიამ და დასძინა, - შარლ მიშელის შეთანხმებაში არ ეწერა ამ ბარიერზე?!

საკონსტიტუციო ცვლილებებზე „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის განცხადებას გამოეხმაურა, ასევე, „სტრატეგია აღმაშენებლის“ დეპუტატი პაატა მანჯგალაძე, რომელიც ამბობს, რომ რიგგარეშე სხდომის მოწვევა მათ დღის წესრიგში რჩება.

- საზოგადოებამ უნდა დაინახოს, რომ ჩვენ მზად ვართ პროცესებში ჩართვისთვის, მაგრამ იმისთვის, რომ ნდობა იყოს, ჯერ „ქართულმა ოცნებამ“ წინა ვალი უნდა გაისტუმროს საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებ-

ის სახით და შემდეგ შევალთ ნებისმიერ პროცესში, რომელსაც წამოიწყებენ. სხვა შემთხვევაში, ეს იქნება პროცესის იმიტაცია, დროის გაწელვა, მუხტი დავარდება და თვალებში ნაცარს შევაყრით საზოგადოებას, რადგან სამწუხაროდ, ვნახავთ, რომ ქვეყანა დეკემბერში სტატუსს ვერ მიიღებს. ამ დროს უკვე რუსი კურატორების დახმარებით „ქართულ ოცნებას“ გამზადებული და მოქოქილი ექნება მესიჯი და იტყვიან, რომ არ მოგვცეს სტატუსი, რადგან ომს გადავარჩინეთ ქვეყანა., - ამბობს მანჯგალაძე.

განცხადება, რომ ჯერ მოგვცენ სტატუსი და შემდეგ ვიმსჯელებთ, პარლამენტარ არმაზ ახვლედიანის შეფასებით, არის კოშმარი. მისივე თქმით, აქვს სრულიად საპირისპირო მტკიცებულება, რომ ისინი არაფრის გამკეთ-

ებლები არ არიან. რაც შეეხება ოპოზიციის პასუხისმგებლობას, ახვლედიანი ამბობს, რომ არ ემხრობა „ქართული ოცნებისთვის“ ერთბაშად კარის მიხურვას.

- მიმაჩნია, ერთი შანსიც თუ არსებობს, ეს ბოლო შანსიც, თუნდაც, ფორმალური, მაინც გამოვიყენოთ იმისთვის, რომ „ქართულმა ოცნებამ“, როგორც ეს მას სჩვევია, ეს ხელზე არ დაიხვიოს და უტიფრად არ თქვას კვლავ დასავლელ პარტნიორებთან, ოპოზიციამ მიგვატოვაო. „ქართული ოცნების“ თუნდაც ამ ერთი საათით მარტო დატოვება, ვფიქრობ,

რომ შეიძლება უფრო დიდი საფრთხის შემცველი იყოს. ესენი ყველაფერზე წამსვლელი არიან და თუ ისე მოხდა, რომ 6 თვის შემდეგ, სტატუსიც ვერ მივიღეთ, დარწმუნებული ვარ, საქართველო ბელარუსის გზით წავა, - აღნიშნა მან.

პროცესებში ჩართვისკენ მოუწოდა ოპოზიციას „რესპუბლიკური პარტიის“ თავმჯდომარე ხათუნა სამნიძემ. მისი თქმით, ირაკლი კობახიძის განცხადება არის მცდელობა, ყველა, მათ შორის ისინიც, ვინც ცდას არ აკლებს ევროკომისიის 12 პუნქტის შესრულებას, ერთ კუთხეში მიდენოს და დაარქვას რადიკალური ოპოზიცია.

- ჩემს კოლეგებს ყველა ოპოზიციური პარტიიდან მოვუწოდებ, რომ ასეთი მიზანმიმართული განცხადების შემდეგ, პირიქით, ჩვენ უნდა ჩავერთოთ პროცესში, რომ „ოცნებამ“ წარმოადგინოს, რას აპირებს კობახიძის ამ სამარცხვინო განცხადების შემდეგ. იმიტომ, რომ შანტაჟის ენით საუბარი მან უკვე დაიწყო ევროკავშირთან, - განაცხადა სამნიძემ.

საპარლამენტო ოპოზიცია გუშინ არასამთავრობო ორგანიზაციებს შეხვდა. დახურული შეხვედრა პარლამენტში გაიმართა. როგორც შეხვედრის დაწყებამდე ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა ლევან ბეჟუაშვილმა განაცხადა, მნიშვნელოვანია არასაპარლამენტო ოპოზიციამ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პარლამენტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის ჩამოყალიბება შეძლოს და „ქართულ ოცნებას“ სესიის მოწვევა აიძულოს. მისივე თქმით, პარლამენტმა მუშაობა რაც შეიძლება მალე უნდა დაიწყოს.

ვინც რეკომენდაციების შესრულების პროცესში არ ერთვება, ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს, - განაცხადა გუშინ „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ანრი ოხანაშვილმა.

- ერთად დასხდომისკენ მოგვიწოდებდნენ, მაგრამ ახლა, როცა მათ ვეუბნებით, მზად ვართ, ცვლილებები გავატაროთ, ნაცვლად იმისა, რომ ჩვენთან ერთად ისხდნენ და მუშაობდნენ, პოპულისტურ გზას ირჩევენ. როცა

ეს პოპულისტური გზა კიდევ ერთხელ გაიშვლდება, საზოგადოება ნახავს, რომ რეალურად მათ მუშაობა კი არ უნდათ, არამედ რევოლუციური სცენარი სურთ. საბოლოოდ იმის ლუსტრაცია მოხდება, რომ ამ ხალხს სურდა არა ჩვენი ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება, არამედ როგორმე ისეთი სიტუაციის შექმნა, სადაც დაგვადანაშაულებდნენ, რომ თითქოს, ჩვენი ქვეყნის ევროპული პერსპექტივა არ გვსურს და ამას სათავისოდ გამოიყენებდნენ. მათ არ სურთ არც 12 პუნქტის შესრულება და არც რეფორმების განხორციელება, - განაცხადა ოხანაშვილმა.

> ***„შედარებით დაბალი ბარიერის დადგენა, რაც „ნაციონალური მოძრაობისთვის“ გარკვეული ფორის მიცემას ნიშნავს, ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გვიღირდეს, თუ ამ ნაბიჯით, სანაცვლოდ, ქვეყნისთვის რაიმე ძალზე მნიშვნელოვან სარგებელს მივიღებთ. ასეთი სარგებელი კი, მოცემულ შემთხვევაში, მხოლოდ ერთი რამ - ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღება შეიძლება იყოს, რაც საქართველოში პოლარიზაციასაც არსებითად შეამცირებს“***

მოამზადა
ია შარია

„ღონისძიებებს, რომლებსაც ვგეგმავ, აუცილებლად უნდა ახლდეს თეატრალიზებული ელემენტები“

ზიქრია დავლაძე 579 25 25 72

მუზეუმის ცნობადობის გაზრდა, ტურისტების მოზიდვა და სამუზეუმო ექსპონატებით მოზარდების დაინტერესება - ასეთია, მოკლედ, ძმები ნობელების ტექნოლოგიური მუზეუმის ახალი ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმა

მედეა ჩარკვიანი *ნობელების მუზეუმის მმართველად ოფიციალურად 4 ივნისს წარადგინეს. გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას მან ყურადღება სკოლის მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელების მეტად ჩართულობაზე გაამახვილა და აღნიშნა, რომ მომავალ თაობას საინტერესოდ და მათთვის გასაგებ ენაზე უნდა მიეწოდოს სხვადასხვა ექსპონატის შესახებ ინფორმაცია.*

- მუზეუმი აღარ არის ის ადგილი, სადაც შევიდოდით, დავივლიდით დარბაზებს, დავათვალიერებდით ექსპონატებს, მოვისმენდით ისტორიებს და გამოვიდოდით. ახლა 21-ე საუკუნეა, ტექნოლოგიების განვითარების პერიოდი, რაც ნიშნავს, რომ ჩვეულებრივი ტიპის ვიზიტები, განსაკუთრებით ბავშვებს, აღარ დააინტერესებთ. მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ელემენტების დანერგვა, რომ მიწოდებული ინფორმაცია საინტერესო და იოლად გასაგები გახდეს ბავშვებისთვის და არა - მოსაწყენი.

- როგორ გამოიყენებთ ახალ პოსტზე თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა თეატრის ხელმძღვანელობის დროს მიღებულ გამოცდილებას?

- იმ ღონისძიებებს, რომლებსაც ვგეგმავ, აუცილებლად უნდა ახლდეს თეატრალიზებული ელემენტები. ვფიქრობ, განსაკუთრებით საინტერესო გახდება მოზარდებისთვის აქ მოსვლა. თეატრის ხელმძღვანელობის ჩემი 11-წლიანი გამოცდილება ამ მხრივ აუცილებლად გამომადგება.

- კიდევ რას გეგმავთ მუზეუმის განვითარებასთან დაკავშირებით?

- განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებ სამ ძირითად კომპონენტს. პირველი - აუცილებლად უნდა გაიზარდოს ნობელების მუზეუმის ცნობადობა, რაც, ბუნებრივია, ვიზიტიორთა რაოდენობასაც გაზრდის. ასევე, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება არის უმნიშვნელოვანესი, იქნება ეს ექსკურსიის, ლექციის, წრეების სახით თუ წარმოდგენებით მიწოდებული. ასევე, აუცილებელია კონკურსები, ვიქტორინები, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები, ისტორიული თამაშები, რომლებიც გააცოცხლებს იმ პერიოდს, რომელსაც მიეკუთვნება მუზეუმში არსებული ესა თუ ის ექსპონატი.

- მოგეხსენებათ, ბოლო 2 წლის განმავლობაში, კორონავირუსის პანდემიიდან გამომდინარე, უამრავი დაწესებულება დროებით ონლაინრეჟიმზე გადავიდა. თუ არის შესაძლებელი, ვიზიტიორმა ანალოგიურ რეჟიმშიც მიიღოს მუზეუმის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია?

- გვაქვს გიდის საათი, სადაც 5-10-წუთიანი ვიდეოსიუჟეტებით ექსპოზიციების შესახებ არის მოთხრობილი. ეს თითქმის ყველა მუზეუმს აქვს. გარდა ამისა, ბოლო რამდენიმე წელია, მუზეუმების გაერთიანებას აქვს შვედეთის საელჩოსთან მოლაპარაკება და მალე კარგი სიახლეების მომსწრენი გავხდებით. მთავარია, მუზეუმებმა შეიძინოს ახალი სიცოცხლე. ამისათვის ყველაფერი კეთდება. ჩემი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ როგორც ადგილობრივებისთვის, ასევე ქალაქის ვიზიტიორებისთვის ეს მუზეუმი სასურველი ობიექტი გახდეს.

- ყველაზე მეტად რა დაგეხმარებათ თქვენი გეგმების განხორციელებაში?

- სიყვარული საყვარელი საქმიანობის მიმართ და პასუხისმგებლობა, გარდა ამისა, შრომისმოყვარეობა და პროფესიონალიზმი, რის გარეშეც არაფერი გამოვა. აქ მომუშავე ადამიანებშიც მოტივაციას ვხედავ, დამხვდა თავის საქმეზე საოცრად შეყვარებული კოლექტივი. მადლობელი ვარ ნდობისათვის, რომელიც აჭარის მუზეუმების ხელმძღვანელმა თეონა ზოიძემ გამომიცხადა. მნიშვნელოვანია, როცა შენში პოტენციალსა და პროფესიონალიზმს დაინახავენ.

- რა ღონისძიებებია დაგეგმილი უახლოეს პერიოდში?

- დაგეგმილია ორი ღონისძიება, ერთი 13 ივლისს სახელწოდებით „ბათუმი - ინდუსტრიული ქალაქი“ გაიმართება, ხოლო მეორე - 20 ივლისს - გამოფენა „ბათუმი - ნავთობის გზა“. ღონისძიებებისთვის მზადება თითქმის დასრულებულია. რადგან ეს არის სპეციფიკური ტიპის მუზეუმი, ძალიან მნიშვნელოვანია, თითოეული ნიუანსი იყოს გათვალისწინებული. იცით, რომ პირველ სართულზე წარმოდგენილია ექსპოზიცია გამომგონებლების შესახებ, ხოლო მეორე სართული ჩაის ისტორიას უკავია. ჩაის გარდა, თამბაქოსა და ღვინის განვითარების ისტორიებიც არის წარმოდგენილი.

პროფესიით ჟურნალისტი მედეა ჩარკვიანი ბოლო პერიოდში ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლის პიარ-მენეჯერი იყო. 2006-2017 წლებში ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელის პოზიციას იკავებდა, ასევე კითხულობდა ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

უკრაინა

უკრაინის პრეზიდენტის ოფისის ხელმძღვანელი მიხაილო პოდოლიაკი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინის განცხადებას ეხმიანება და აცხადებს, რომ არანაირი „კოლექტიური დასავლეთის“ გეგმა არ არსებობს და რეალობა ისაა, რომ რუსული არმია უკრაინის ტერიტორიაზე შეიჭრა და მშვიდობიან მოსახლეობას ხოცავს. „არანაირი „კოლექტიური დასავლეთის“ გეგმა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ კონკრეტული z-არმია, რომელიც შემოვიდა სუვერენულ უკრაინაში, ბომბავს ქალაქებს და ხოცავს მშვიდობიან მოსახლეობას, ყველაფერი დანარჩენი პრიმიტიული პროპაგანდაა, ამიტომაც ბატონი პუტინის მანტრა „ომი - ბოლო უკრაინელამდე“ რუსეთის მხრიდან მიზანმიმართული გენოციდის კიდევ ერთი დასტურია“, - წერს პოდოლიაკი „ტვიტერში“. „არაერთხელ გვსმენია, რომ დასავლეთს ჩვენთან ბრძოლა უკანასკნელ უკრაინელამდე სურს. ეს არის ტრაგედია უკრაინელი ხალხისთვის, მაგრამ ყველაფერი, როგორც ჩანს, ამისკენ მიდის“, - აღნიშნა პუტინმა სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციების ლიდერებთან გუშინდელ შეხვედრაზე.

* * *

დონეცკის ოლქში რუსეთის მიერ დაბომბვას გასული დღის განმავლობაში კიდევ 6 ადამიანი ემსხვერპლა, ამის შესახებ დონეცკის რეგიონალური სამხედრო ადმინისტრაციის ხელძღვანელი პავლო კირილენკო იუწყება. „რუსეთი კლავს მშვიდობიან მოსახლეობას! 7 ივლისს რუსებმა დონეცკის ოლქში 6 მშვიდობიანი მოქალაქე მოკლეს: კრამატორსკში, სლავიანსკში, ავდიივკაში, სევერსკში, პოკროვსკესა და ორლოვკაში. დაშავდა კიდევ 21 ადამიანი“, - აცხადებს კირილენკო. მისივე ინფორმაციით, უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ დონეცკის ოლქში, სულ მცირე, 583 მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა და 1517 დაშავდა. გუბერნატორი განმარტავს, რომ მარიუპოლსა და ვოლნოვახაში მსხვერპლის ზუსტი რაოდენობის დადგენა ამ ეტაპზე შეუძლებელია.

* * *

რუსეთი, სავარაუდოდ, აღჭურვილობის კონცენტრირებას ახდენს ფრონტის ხაზზე, სევერსკის მიმართულებით, ამჟამინდელი ფრონტის ხაზიდან დასავლეთით, დაახლოებით 8 კმ-ში, - ამის შესახებ გაერთიანებული სამეფოს თავდაცვის სამინისტროს ანგარიშშია აღნიშნული. მისივე შეფასებით, რუსული ძალები, სავარაუდოდ, „პაუზას“ იღებენ შევსების მიზნით, დონეცკის ოლქში ახალი თავდასხმითი ოპერაციების დაწყებამდე. „არსებობს რეალური შესაძლებლობა, რომ რუსეთის უახლოესი ტაქტიკური მიზანი იყოს სივერსკი, რადგან მისი ძალები ცდილობენ წინსვლას სლოვიანსკ-კრამატორსკის ურბანული ზონისკენ“, - აცხადებენ ბრიტანეთის თავდაცვის უწყებაში. მათივე ინფორმაციით, უკრაინული ძალები აგრძელებენ ეტაპობრივ წინსვლას ხერსონის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში.

* * *

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი აცხადებს, რომ უკრაინაში მიმდინარე ომი „ნამდვილი“, „სერიოზული“ შეიარაღებული კონფლიქტისთვის მხოლოდ მზადებაა. „ყველამ უნდა იცოდეს, რომ, ფაქტობრივად (უკრაინაში), ჩვენ სერიოზულად არც არაფერი დაგვიწყია“, - განაცხადა პუტინმა რუსეთის დუმის დეპუტატებთან შეხვედრაზე. „გვესმის, რომ ჩვენი ბრძოლის ველზე დამარცხება სურთ. რა უნდა თქვა? აბა, სცადონ“, - თქვა პუტინმა. მისი განცხადებით, „დასავლეთმა ომი უკვე წააგო“, რადგან უკრაინაში ომის დაწყება „არსებული მსოფლიო წესრიგის მორღვევის დასაწყისად“ იქცა.

* * *

რუსეთის საოკუპაციო ძალები აღმოსავლეთ უკრაინაში კვლავ ცდილობენ სრული კონტროლის დამყარებას ლუგანსკის ოლქის ტერიტორიაზე, - ამის შესახებ განცხადება უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა „ფეისბუქზე“ გაავრცელა. სლავიანსკის მიმართულება: დამპყრობლები კვლავ შეიჭრნენ დონეცკის რეგიონის დასახლება ბოგოროდიჩნეში, ცდილობდნენ მის მთლიანად დაპყრობას, მაგრამ უშედეგოდ - უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა „სასტიკად აღკვეთეს შეტევის მორიგი მცდელობა“. გავრცელებულია ინფორმაცია, რომ მტერმა ქვემეხებიდან და სარაკეტო არტილერიიდან დაბომბა რამდენიმე დასახლებული პუნქტი, ასევე გამოიყენა სამხედრო თვითმფრინავები. კრამატორსკის მიმართულება: დამპყრობლებმა სცადეს შეტევა გრიგოროვკასა და ვერხნეკამენსკის მიმართულებით, მაგრამ წარუმატებლად. „ოკუპანტებმა ქვემეხებიდან და

სარაკეტო არტილერიიდან დაბომბეს მაიაკის, სევერსკის, სერებრიანკას, გრიგოროვკას, ვერხნეკამენსკოეს, ზოლოტარევკასა და ზვანოვკას დასახლებების ტერიტორიები. მტერმა ავიაციით დაბომბა სერებრიანკას რაიონი“, - ნათქვამია განცხადებაში. ბახმუტის მიმართულება: გენერალური შტაბის ინფორმაციით, უკრაინის შეიარაღებულმა ძალებმა დამპყრობლებს დიდი ზიანი მიაყენა, როდესაც ვერშინასა და ბერესტვოიეს მახლობლად ტაქტიკური სიტუაციის გაუმჯობესებას ცდილობდნენ. მტერმა პანიკურად დაიხია უკან. „რუსები ჰაუბიცებითა და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებით ბომბავდნენ შემდეგ დასახლებებს - ვიიმკა, ივანო-დარიევკა, ბერესტოვოე, ბელოგოროვკა, პოკროვსკოე, იაკოვლევკა, სოლედარი, ბახმუტსკოე, კლინოვოე, ვერშინა, კოდემა, მაიორსკი. მათ შუმოვთან არმიის ავიაცია გამოიყენეს“, - განაცხადეს უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში. იმავდროულად, ავდეევკას, კურახოვსკის, ნოვოპავლოვსკის და ზაპოროჟიეს მიმართულებებზე ოკუპანტები აგრძელებენ უკრაინის შეიარაღებული ძალების პოზიციების დაბომბვას ჰაუბიცებით და სარაკეტო არტილერიით.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ჯვარიმინდორის სახეცვლილება

ჯვარიმინდორის ტერიტორია მალე ტურისტულ ლოკაციად იქცევა. წუთისოფელს კიდევ შემორჩნენ ადამიანები, რომლებსაც ჯვარიმინდორთან, აჭარა-გურიის ქედზე შემორჩენილ და შემონახულ ღირებულებებთან ბევრი რამ აკავშირებთ. მათ შორისაა 80 წელს მიტანებული პუბლიცისტი, სპეციალობით ისტორიკოსი შალვა აბაშიძე

- საზოგადოებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი ჯვარიმინდორი. კომუნისტური რეჟიმი ჯვართან, ეკლესიასთან, ხატთან ურთიერთობას კრძალავდა. რელიგიის მიმდევრებს სჯიდნენ, ქვეყნიდან ასახლებდნენ. ძალიან ცოტამ თუ იცოდა, რა როლი ითამაშა ჯვარიმინდორმა ორი რეგიონის დაახლოებასა და მართლმადიდებლური სიწმინდეებისადმი პატივისცემაში. გაჩნდა იდეა, რომ სოფელ ხაბელაშვილების გავლით, თაგინურის მთაში საავტომობილო გზა გაგვეყვანა. შუახევის რაიონის პირველი პირი მურმან ჭაღალიძე იყო, რომელიც ახლა 85 წელსაა მიტანებული. მან ქედელებიც მიგვიპატიჟა. ფეხით ავიარეთ ის ბილიკები, საიდანაც ჭვანის ხეობისა და ცხმორისის თემის მოსახლეობას თაგინურის მთაში პირუტყვი მიჰყავდა. გზად იმ წყაროსთან შევისვენეთ, რომელიც გიორგი ყაზბეგის სახელთანაა კავშირში. ახლა საავტომობილო გზა იმ წყაროსთან აღარ გაივლის, რომელსაც მოსახლეობა «ჩიტის წყაროდ» იცნობს. ჯვარიმინდორის ტერიტორიაზე მწყემსების მოსაცდელიც არ იყო. ახოელებისა და შუახევის რაიონის სოფელ ცხემლისის მოსახლეობას ამ ტერიტორიის სიახლოვეს აქვთ სეზონური მთის სახლები, ტოპონიმები: «ახოიელა», «ცხემლისისიელა» ამის შემდეგ გაჩნდა.

- მღვდელმა ზაქარია ქათამაძემ ჭვანიდან წაღებული ჯვარი და სხვა სიწმინდეები აქ დროებით დაასვენა და თქვა: «ჯვარო მიდიხარ, ჯვარო დაბრუნდები»...

ძის თავდადებაზე, ჯვარიმინდორის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი, კლდეში გამოსახული ჯვრის შესახებ. ყველაფერს ნათელი მას შემდეგ მოეფინა, როცა პოლიტოლოგმა არმაზ ახვლედიანმა და ჭვანის ხეობელმა ვალერიან ქარ-

ციავაძემ აქ ჯვარი აღმართეს, ხოლო 2013 წლის მარიამობის დღესასწაულზე (28 აგვისტო) ცნობილი ბიზნესმენის აწ განსვენებული სანდრო შარაშიძის ინიციატივით, გურიიდან, მიტროპოლიტ იოსების ლოცვა-კურთხევით, ჯვარი წამოიღეს, თაგინურის ტაძარში დაასვენეს. სამწუხაროდ, სანდროს გარდაცვალების შემდეგ, ტაძრის მშენებლობა შეჩერდა. ის ჯვარი ახლაც იქ ასვენია და ქველმოქმედი, წარსული დიდების დამფასებელი ადამიანების თანადგომის მოლოდინშია, რომლებიც დაწყებული მშენებლობის დასრულებას ითავებენ. ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მწყემსმთავრების ხელდასმაც ურიგო არ იქნება. კარგად მახსოვს როგორი სიხარულით ჩაყარეს ტაძრის საძირკველი ღვთისმსახურების, მწერლების, მეცნიერების თანდასწრებით. კოკობილის სერზე ჯვარი აღმართეს. არ მინდა ჯვარიმინდორის თემას გადავუხვიო, მაგრამ დაწყებული დიდი საქმე უნდა დასრულდეს. სანდროს ამ ინიციატივამ «ჯვარიმინდვრობის» ფესტივალს დაუდო სათავე. ეს ფესტივალი, მთასთან მოსახლეობის ხშირი კომუნიკაცია, ტურისტული სააგენტოების ჩართულობა გახდა იმის წინაპირობა, რომ ჯვარიმინდორი ქვეყნის რუკაზე ახალ ტურისტულ ლოკაციად იქცეს. არც ის ხის ჯვარია საკმარისი. ფესტივალის წამოწყებამ მეტი დატვირთვა შესძინა ჭინ-

ჭოს ტბასაც. გავიგე, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის კულტურულ ღონისძიებათა ნუსხაში «ჯვარიმინდორის» ფესტივალიც აქვს შეტანილი. თუ ფესტივალი ჩატარდა, მსურს მონაწილეობა მივიღო. ერთხელ კიდევ თვალს შევავლებ იმ სიმშვენიერეს, რაც გზად იქნება, ვნახავ რაც ჯვარიმინდორზე კეთდება.

- ამ ტურისტულ ობიექტს ასეთ მნიშვნელობას რატომ ანიჭებთ?

- წარსული დიდების უკვდავსაყოფად ბევრია გასაკეთებელი. ქვეყნებს, თუნდაც ცალკეულ რეგიონებს, ასეთი ტერიტორიები არ აქვთ და ქმნიან, ჩვენ გვაქვს და სათანადოდ ვერ ვუვლით. ხომ შეიძლება რაიმე მიმანიშნებელი ბანერი დაგვედგა ჯვარიმინდორზე. გულსატკენია, რომ ზოგიერთი ჩვენი თაობის ადამიანების აზრს არ ითვალისწინებს. ამ ეტაპზე ჯვარიმინდორზე რამდენიმე შენობაა თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი და გარემოსთანაც შერწყმული, თუმცა გამოჩნდნენ ისეთებიც, რომლებიც უსახური შენობებით ცდილობენ ტერიტორიის დამახინჯებას. დროზეა მისახედი, თორემ რწყილი აქლემად იქცევა და ეს ტურისტული ობიექტიც თავის სახეს დაკარგავს.

„ ისტორიკოსებმა, მკვლევარებმა მაშინ ძალიან ცოტა იცოდნენ მღვდელ ზაქარია ქათამაძის თავდადებაზე, ჯვარიმინდორის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი, კლდეში გამოსახული ჯვრის შესახებ. ყველაფერს ნათელი მას შემდეგ მოეფინა, როცა პოლიტოლოგმა არმაზ ახვლედიანმა და ჭვანის ხეობელმა ვალერიან ქარციავაძემ აქ ჯვარი აღმართეს, ხოლო 2013 წლის მარიამობის დღესასწაულზე (28 აგვისტო) ცნობილი ბიზნესმენის აწ განსვენებული სანდრო შარაშიძის ინიციატივით, გურიიდან, მიტროპოლიტ იოსების ლოცვა-კურთხევით, ჯვარი წამოიღეს, თაგინურის ტაძარში დაასვენეს...

6 თვის შედეგები შეაჯამეს

შუახევის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული საკონსტიტუციო ორგანოს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მუნიციპალიტეტის მერის ომარ ტაკიძის ინფორმაცია მოისმინეს თურქეთის რესპუბლიკაში ახმედ მელაშვილის 100 წლის იუბილესა და «ჩვენებურების» ფესტივალში მონაწილეობის თაობაზე. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ანზორ ცეცხლაძემ «შუახევის მუნიციპალიტეტის 2022 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების, სოციალურ, ეკონომიკურ და ინფრასტრუქტურულ პროდუქტებზე მიმართული თანხების ათვისების მდგომარეობის შესახებ» გააკეთა მოხსენება.

სხდომაზე კიდევ 3 საკითხი განიხილეს, ისაუბრეს ტრადიციული დღესასწაულის «შუამთობის» ორგანიზებულად გამართვის შესახებაც. წინადადებებით გამოვიდნენ მრჩეველთა საბჭოს წევრები მზია გოგაძე, მერაბ მაკარაძე, შაქრო ხიმშიაშვილი.

სხდომას ვასო ხიმშიაშვილი უძღვებოდა.

ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება

ქედის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, კონკურსში გამარჯვებული კომპანიები და მეწარმეები ამ ეტაპზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებებს უთმობენ მეტ ყურადღებას. რამდენიმე ადგილზე მოეწყობა საყრდენი კედლები, ბეტონის კიუვეტი, სანიაღვრე არხები... სოფელ დოლოგანში სასმელი წყლის სისტემის სამშენებლო სამუშაოები, სოფელ ორცვაში არსებული წყლის სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი მზადდება სოფლებში არსებული წყ-

ლის სისტემების რემონტისა და მშენებლობისთვის.

წელს დაიწყო როგორც ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრების, ასევე, სკვერების, პარკებისა და ატრაქციონების მოწყობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება სოფელ დანდალოს ცენტრის კიბეებს, მიმდებარე ტერიტორიასა და მემორიალურ დაფას.

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი – მთიან აჭარაში

მე-2 გვერდიდან

იმავე დღეს ზაზა შავაძე და მისი თანმხლებნი შუახევში, სოფელ ახალდაბის ტერიტორიაზე არსებული ვაზის სანერგე მეურნეობის საქმიანობით დაინტერესდნენ. ეს მეურნეობა მეოთხე წელია მოქმედებს. იგი აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვისცენტრის“ ქვეპროგრამით მოეწყო. მეურნეობის აგრონომმა რამინ დიასამიძემ, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელმა შუახევში ავთანდილ კაკალაძემ მეურნეობაში მიმდინარე პროცესებზე, აქ გაშენებული 10-მდე ჯიშის ვაზის შესახებ სტუმრებს ინფორმაცია მიაწოდეს.

- სანერგეს მზრუნველი ხელი ეტყობა, კარგია ვაზის ვეგეტაცია, საღია მსხმოიარე ნაყოფი. მეურნეობაში დასაქმებულები შრომის პირობებს არ ემდურიან. მალე აქ გამოყვანილი ვაზის ჯიშების ნამყენი კალმები ფერმერების ნაკვეთებსა და ზვრებში გადაინაცვლებს. აქ ის ჯიშებია, რომელიც ადგილობრივ კლიმატურ პირობებსაა შეგუებული, - თქვა ზაზა შავაძემ.

მინისტრთან ერთად მეურნეობაში იყვნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის მერის მოადგილე გურამ ზოიძე.

* * *

გურამ ძირკვაძე ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიოკნისის მკვიდრია. მან 2014 წელს საერთაშორისო ორგანიზაცია „კარიტასის“ ხელშეწყობით, ოთხი ჯიშის ყოლოს ნერგები გააშენა. პირველ წელს 200 კილოგრამი მოსავალი მიიღო. შარშან 20 ჰექტარზე გაშენებული კულტურის მოსავალმა 100 ტონას გადაამეტა. უკვე 200 კომლია ჩართული ყოლოს მოვლა-მოყვანაში.

მინისტრი თანმხლებ პირებთან, საქართველოს პარლამენტის წევრ ანზორ ბოლქვაძესთან ერთად, დიოკნისში, გურამ ძირკვაძის ნაკვეთში ყოლოს მოსავლის დაკრეფას დაესწრო.

- აქ მოყვანილი ნაყოფი ეკოლოგიურად საღი და საიმედოა. მისასალმებელია გურამ ძირკვაძის წამოწყება, მას სხვებმაც აუბეს მხარი, - თქვა მინისტრმა.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

„კრემლისთვის მიუღებელია მისი ისტორიული გავლენის ზონაში თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობა“

მე-3 გვერდიდან

- დასავლეთი დემოკრატიული საზოგადოებაა და, ბუნებრივია, ცალკეული სახელმწიფოს განსხვავებული აზრი მისაღები და ანგარიშგასაწევია. თუკი რომელიმე სახელმწიფო ან ლიდერი ერთჯერადად განსხვავებულ აზრს გამოთქვამს ან განცხადებებს გააკეთებს, ეს არ ნიშნავს, რომ რუსეთის აგრესიის მიმართ უარყოფითი, ხოლო უკრაინისადმი სოლიდარულ დამოკიდებულებას დასავლეთში ეროზია გაუჩნდა. მსგავსი ფუჭი წარმოდგენის შექმნა და მერე მისით მანიპულირება, თითქოს რუსეთ-უკრაინის საკითხში დასავლეთი სისტემურად არის სტრატიფიცირებული, მოსკოვის საინფორმაციო ომის წისქვილზე ასხამს წყალს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ პერიოდულად მსგავსი განცხადებები შესაძლოა კონკრეტულ ინტერესებს ემსახურებოდეს. მაგალითად, ზოგიერთ ევროპულ ქვეყანას ომამდე რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკური თანამშრომლობა ჰქონდა, ამიტომ ხშირად უხდებათ იმ ჯგუფების ინტერესების გათვალისწინება, რომლებსაც რუსეთთან ასეთი კავშირები ჰქონდათ. მაგალითად, ომისა და სანქციების გამო, ევროპის ბევრ ქვეყანაში ენერგომატარებლებზე ფასებმა მნიშვნელოვნად მოიმატა, შესაბამისად, უარყოფითი შედეგები აისახა ფასებზე და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომ ხშირად მმართველ გუნდს უხდება ისეთი განცხადებების გაკეთება, რომლებიც შიდა პუბლიკაზე არის გათვლილი.

- ალაპარაკდნენ რუსეთის დანაშაულებზე უკრაინაში. აშშ-ის პრეზიდენტმა პუტინს სამხედრო დამნაშავე უწოდა. თქვენი აზრი ამის შესახებ?

- უკრაინაში აგრესიით რუსეთის სამხედრო ძალები რომ ომის დანაშაულს სჩადის, ეს ნათელია. უკრაინის ხელისუფლება ამაზე საომარი მოქმედებების დასაწყისშივე ალაპარაკდა. შემდეგ ვიხილეთ ბუჩაში, ირპენსა და სხვა ქალაქებში დატრიალებული ტრაგედიები. დღეს სურათი კიდევ უფრო მასშტაბურია. უკრაინის გენპროკურორი ირინა ვენედიქტოვას განცხადებით, 24 თებერვლიდან დღემდე ყოველდღიურად რამდენიმე ათეული, ხშირად კი 200-დან 300-მდე საქმე აღიძვრებოდა და უკვე რეგისტრირებულია ომის 21 ათასი დანაშაულის საქმე. ასეთ ვითარებაში ომის შემდეგ ბევრი რუსი, იმ დროისთვის უკვე ყოფილი თუ მოქმედი სამხედრო, პასუხისგებაში მიეცემა, თუკი უკრაინულმა მხარემ იგი თავისი ან პარტნიორი სახელმწიფოს იურისდიქციაში მოიხელთა.

- არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ევროკავშირის ამასწინანდელი ვერდიქტი სამ პოსტსაბჭოთა ქვეყანასთან მიმართებით. თუ წლის ბოლოს ევროკავშირმა არ მოგვანიჭა კანდიდატის სტატუსი, ეს რამდენად დააზარალებს საქართველოს?

- ოლიგარქზე დამოკიდებულმა ხელისუფლებამ საქართველოს პრესტიჟი უკვე მნიშვნელოვნად დააზარალა. ერთ დროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩარჩოში წარმატებულმა ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი ვერ მიიღო. ჩავარდნილმა სასამართლო რეფორმამ, პოლიტიკური პატიმრების არსებობამ, თავისუფალ მედიასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე ზეწოლამ, ძალადობრივი და პრორუსული დაჯგუფებების წახალისებამ, შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე პოლარიზაციისა და სიძულვილის ენის მიზანმიმართულმა დანერგვამ, ასევე ამ მიდგომების საგარეო პოლიტიკაში გადატანამ, ვგულისხმობ, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენლებზე, ასევე ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებზე სიტყვიერ თავდასხმებს და მათი იმავე სტილით ლანძღვას, როგორც ამას ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ოპონენტების მიმართ აკეთებენ, თავისი შედეგი გამოიღო. ნორმალურ, დემოკრატიულ ქვეყანაში პრემიერი თავისი გუნდით უკვე გადამდგარი, ქვეყანა კი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების რიტმში უნდა იყოს, ამის ნაცვლად კი ვისმენთ სრულიად აბსურდულ განცხადებებს, თითქოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსზე მეტი მივიღეთ, კვლავ პარტნიორ სახელმწიფოებს ესხმიან თავს, თითს ისევ ბრიუსელისკენ იშვერენ და გაიძახიან, რომ უკრაინა და მოლდოვა საქართველოსთან შედარებით ნაკლებ წარმატებული იყო და რომ ევროკავშირმა საქართველოსთან მიმართებაში უსამართლო გადაწყვეტილება მიიღო, გვარწმუნებენ, თითქოს ჩვენმა გეოპოლიტიკურმა მდებარეობამ გადაწყვიტა ჩვენი საკითხი ნეგატიურად, არადა სწორედ ჩვენი სტრატეგიული მდებარეობა არის ძლიერი არგუმენტი საქართველოს ევროპულ ოჯახში გაწევრიანებისა და იმის მაჩვენებელიც, ხანგრძლივ პერსპექტივაში რა სარგებელი შეუძლია მოუტანოს მან ენერგოდამოუკიდებლობის და უსაფრთხოების საკითხებში ევროპას, რომლის შესახებაც ზევით უკვე ვისაუბრეთ. თუმცა გადამწყვეტ მომენტში ხელისფლების არცერთ წარმომადგენელს არ უმუშავია, რომ დაერწმუნებინა ევროპელი პარტნიორები მაშინ, როცა ბრიუსელში საქართველოს საკითხი წყდებოდა, საგარეო საქმეთა მინისტრი ლოკოკინების ფერმის პრეზენტაციას ესწრებოდა, ხოლო ქართველი დიპლომატები, სავარაუდოდ, თბილისიდან საჭირო ინსტრუქციებსა და მოქმედების უფლებამოსილებას მოკლებული იყვნენ. თუკი ამ შესაძლებლობების ფარგლებში საქართველო ვერ მოახერხებს ევროინტეგრაციის საკითხებში წინსვლას, ხელიდან გავუშვებთ წევრობის კანდიდატის სტატუსის და, ზოგადად, წევრობის შანსს, ეს იქნება ქვეყნისთვის გამოუსწორებელი ზიანი და მომავალი თაობა აუცილებლად გადაიხდის ძალიან მაღალ ფასს. ეს უნდა აფიქრებდეს ამჟამინდელ ხელისუფლებას და თუკი ჩვენს თაობასთან ვერ გრძნობს შესაბამის ანგარიშვალდებულებას, მას აუცილებლად მოუწევს მომავალ თაობასთან მორალური პასუხისმგებლობა ჩადენილის გამო, რადგან ამ საქციელს აუცილებლად მიეკვრება ეროვნული ინტერესების ღალატის იარლიყი.

შეხვედრა აშშ-ის სახმელეთო ძალების შტაბის უფროსთან

საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური, გენერალ-მაიორი გიორგი მათიაშვილი გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში, სადაც ევროპის სახმელეთო ძალების კონფერენციას დაესწრო, აშშ-ის სახმელეთო ძალების შტაბის უფროსს, გენერალ ჯეიმს მაკკონვილს შეხვდა.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადების თანახმად, შეხვედრას ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის სახმელეთო ძალების ახლად დანიშნული მეთაური, გენერალი დარილ ვილიამსიც ესწრებოდა.

ორმხრივი შეხვედრისას საუბარი შეეხო რეგიონში შექმნილ უსაფრთხოების გარემოს, უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გავლენას რეგიონის უსაფრთხოებაზე და რუსეთის ფედერაციიდან მომდინარე საფრთხეებს.

მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს თავდაცვის ძალების განვითარების 10-წლიანი პროგრამის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილ ღონისძიებებზე და ამ პროცესში აშშ-ის მხარდაჭერის ინტენსიფიკაციაზე.

უწყების განცხადებით, ევროპის სახმელეთო ძალების ყოველწლიური კონფერენცია გერმანიის ქ. გარმიშში ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოების საკითხთა კვლევის ევროპულ ცენტრში ჩატარდა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ევროპის ოცდაათამდე ქვეყნის სახმელეთო ძალების სარდლები და თავდაცვის ძალების მეთაურები.

კონფერენციაზე მიწვეული იყო საქართველო, უკრაინა და მოლდოვა. მონაწილეებმა განიხილეს რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინაში წარმოებული საომარი მოქმედებები და მისი გავლენის საკითხები გლობალურ უსაფრთხოებაზე.

საუბარი, ასევე, შეეხო ურთიერთთავსებადობისა და კოორდინაციის მექანიზმების დახვეწის გზით საბრძოლო მზადყოფნისა და თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების საკითხებს.

ამირან გურიელიძე

ტექინსპექტირებას „რატომღაც“ თავს არიდებენ, შედეგი კი...

„ჩვენ დღეს გვაქვს ის რეალობა, რომ საქალაქთაშორისო ტრანსპორტის (მიკროავტობუსები და ავტობუსები) 85% არ ცხადდება ტექინსპექტირებაზე. დიდი ალბათობით, ეს არის ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტი, კუსტარულად გადაკეთებული სატვირთო... მგზავრთა გადაყვანაზე პასუხისმგებელი“, - ამის შესახებ ტექინსპექტირების ცენტრების ასოციაციის პრეზიდენტმა დავით მესხიშვილმა რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ განაცხადა.

„ალბათ, გაგახსენდებათ არაერთი ავტოკატასტროფა, მათ შორის ექსკურსიების დროს. ღრმად ვარ დარწმუნებული, ის ტრანსპორტი დროულად რომ მისულიყო ტექინსპექტირებაზე, ხარვეზს აღმოაჩენდნენ და ავირიდებდით ამ ტრაგედიებს. შეიძლება ყოველთვის ასე არ მოხდეს, მაგრამ თუ ტექნიკურ გაუმართობაზე ვსაუბრობთ, ტექინსპექტირება არის პროცესი, სადაც დღეს 60 ლარად შეიძლება დადგინდეს ხარვეზი, რომლის აღმოფხვრაც იხსნის ადამიანთა სიცოცხლეს“, - განაცხადა დავით მესხიშვილმა.

ამირან გურიელიძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, მიმდინარე წლის 11 ივლისიდან მოქალაქეთა მომსახურების სერვისცენტრებში ვიზიტისას გარკვეული განცხადებების რეგისტრაცია შეიზღუდება. შეზღუდვა შეეხება: მეწარმე ფიზიკური პირისთვის მცირე ბიზნესის სტატუსის მინიჭებას; ფიზიკური პირისთვის საკუთარი შემოსავლების შესახებ ცნობის გაცემას და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას. „60 ათასზე მეტ ფიზიკურ პირს უკვე გაეგზავნა საინფორმაციო მოკლე ტექსტური შეტყობინება შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულ მობილურ ნომრებზე. აქვე შეგახსენებთ, რომ სერვისების განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, თვითმომსახურების წახალისების მიზნით, შემოსავლების სამსახურში უკვე 452 ელექტრონული სერვისის მიღება არის შესაძლებელი. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

https://rs.ge/LawNewsArchive?newsId=699“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

ამირან გურიელიძე

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია აცხადებს

ლიტერატურულ კონკურსს

პოეზიაში

საკონკურსო მასალა იგზავნება დევიზით:

ერთი კონვერტით - საკონკურსო ლექსები, **მეორე კონვერტით** - ავტორის გვარი და სახელი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ლექსების სათაურები (კონვერტზე არ უნდა მიეთითოს ავტორის ვინაობა).

კონკურსში მონაწილეობა შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, გარდა გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქციის თანამშრომლებისა, სარედაქციო საბჭოსა და ჟიურის წევრთა ოჯახის წევრებისა.

დაწესებულია პრემიები:

გრან-პრი - 3000 ლარი - ასპინძის საპატიო მოქალაქე **ემზარ ასპანიძისგან;**

პირველი პრემია - 1500 ლარი - **ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიისგან;**

მეორე პრემია - 1000 ლარი - **კერძო პირ ელდარ ალიევისგან;**

მესამე პრემია - 600 ლარი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

საკონკურსოდ იგზავნება მხოლოდ გამოუქვეყნებელი ლექსები, არა უმეტეს ხუთისა.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონია გაიმართება სოფელ რუსთავში ტრადიციულ პოეზიის სახალხო დღესასწაულ „შოთაობაზე“.

საკონკურსო ლექსების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 10 სექტემბერი და იგზავნება შემდეგ მისამართზე:

0500, ასპინძის მუნიციპალიტეტი, დაბა ასპინძა, თამარის ქ. №3;

საკონტაქტო ტელ. 599 97 95 24.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 8/07/22, 21 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

„მიუხედავად ძალიან დიდი კონკურენციისა, გამარჯვება შევძელით“

ანსამბლმა „ბათუმმა“ გრან პრი მოიპოვა

ხელოვნების სფეროში წარმატებები ქართველებისთვის უცხო ხილი ნამდვილად არაა. საამაყო გამარჯვებებს შეემატა ის ფაქტიც, რომ ბათუმის კულტურის ცენტრის ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბათუმმა“ გუშინწინ, 7 ივლისს, გრან პრი მოიპოვა ქალაქ ბურსაში გამართულ 34-ე კონკურს-ფესტივალზე - INTERNATIONAL GOLDEN KARAGOZ FOLK DANCE COMPETITION



სიხარულის საფუძველი ისიცაა, რომ აღნიშნული კონკურს-ფესტივალი საკმაოდ მასშტაბურია. ექვსი დღე მიმდინარეობდა ბრძოლა გამარჯვებისთვის 19 ქვეყნის (მექსიკა, ინდოეთი, სერბეთი, მაკედონია, მონტენეგრო, სლოვაკეთი და სხვა) ფოლკლორულ კოლექტივებს შორის.

ბურსაში 1 ივლისს ჩასული ჩვენი ანსამბლი გუშინ გამოემგზავრა საქართველოში, დღეს უკვე სამშობლოში იქნება და მისი წევრებისგან აუცილებლად ჩავიწერთ ვრცელ მასალას ამ შესანიშნავი კულტურული მოვლენის შესახებ, მანამდე კი ტელეფონით ვესაუბრეთ ბათუმის კულტურის ცენტრის დირექტორ **ირაკლი შაშათავას,** მივულოცეთ ეს დიდი წარმატება და კომენტარიც ვთხოვეთ.

- ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ბათუმმა“ მეორედ მიიღო მონაწილეობა აღნიშნულ კონკურსში: პირველად - 2012 წელს და მაშინ მეორე ადგილი აიღო, წელს კი თამასა ასწია და პირველი ადგილი მოიპოვა. ჟიურიმ ერთხმად, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიიღო გადაწყვეტილება და ისიც აღნიშნა, რომ არაერთი ძლიერი ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლი უნახავთ, მაგრამ „ბათუმი“ ყველასგან განსხვავებული ქორეოგრაფიით გამოირჩეოდა. საფინალო ცეკვით „იმერხეული“ (დადგმა - ქორეოგრაფ შალვა გოგუაძის) მან მართლაც მთელი დარბაზის გული მოინადირა. მიუხედავად იმისა, რომ ივნისში კულტურის ცენტრი და კონკრეტულად ეს ანსამბლი დატვირთული იყო კონცერტების სერიით, პარალელურად მზადდებოდა საკონკურსო პროგრამა და ძალიან დიდი შრომა ჩადო თითოეულმა მსახიობმა, მუსიკოსმა, რომ ის შედეგი მიგვეღო, რამაც ასე გაგვახარა ყველანი. სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ეს არის ჩვენი ქალაქის, რეგიონის და სრულიად საქართველოს გამარჯვება. 19 ქვეყანა მონაწილეობდა ამ კონკურს-ფესტივალში. საქართველოს ჩვენ წარმოვადგენდით და მართლაც, გვეამაყება და გვიხარია, რომ ღირსეულად წარმოვაჩინეთ მისი სახელი, მიუხედავად ძალიან დიდი კონკურენციისა, ჩვენ შევძელით და გავიმარჯვეთ, - გვითხრა ირაკლი შაფათავამ.

ანსამბლი „ბათუმი“ 1991 წელს შეიქმნა და მის ისტორიას არაერთი მიღწევა ამშვენებს, თუმცა ამჟამინდელი, მართლაც, გამორჩეულია და მასში, უდავოდ, დიდია სამხატვრო ხელმძღვანელ თეიმურაზ ბოლქვაძისა და მთავარ ქორეოგრაფ შალვა გოგუაძის წვლილი, რომლებიც, რასაკვირველია, ახლდნენ ანსამბლს ბურსაში.

საგულისხმოა, რომ თითქმის პარალელურად (1-3 ივლისს) ქალაქ ინეგოლში საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „ჩვენებურები“ ტარდებოდა, სადაც ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ჩვენი რეგიონის მთავრობის, უმაღლესი საბჭოსა და პარლამენტის დელეგაცია. ამ ფესტივალის დახურვაზე, ირაკლი შაფათავას თქმით, ანსამბლი „ბათუმი“ საპატიო სტუმრის რანგში იყო მიწვეული. მან აქ ერთ-ერთი საკონკურსო ნომერი წარმოადგინა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონკურს-ფესტივალი გაიმართა ბურსას მუნიციპალიტეტის, კულტურის, ხელოვნებისა და ტურიზმის ფონდის (BKSTV) ორგანიზებით და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ჰარპუთის ჰოლდინგი. ანსამბლი „ბათუმი“ 5 ათასი ევროთი დაჯილდოვდა.

ქალაქ ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნებული პოსტით მიულოცა ჩვენს მოცეკვავეებს ახალი წარმატება: „მინდა გულითადად მივულოცო ჩვენთვის, ყველასთვის საყვარელ ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ბათუმს“ გამარჯვება, რომელიც ქალაქ ბურსაში გამართულ 34-ე კონკურს-ფესტივალზე - INTERNATIONAL GOLDEN KARAGOZ FOLK DANCE COMPETITION-მა მოიპოვა. ვუსურვებ ანსამბლს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს“.

გაზეთი „აჭარა“ ულოცავს „ბათუმს“, ჩვენს კუთხეს და სრულიად საქართველოს ამ მიღწევას, კიდევ არაერთ გამარჯვებაზე გვესაუბროს ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან.

მარი მიდასელი

„მხედრული - 2“-ს წარმატება მიულოცეს

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით, გურამ თამაზაშვილის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „მხედრულთან“ არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „მხედრული - 2“ ბულგარეთის ქალაქ ნესებრი-პამორიეში გამართულ ფოლკლორის ევროპის მე-14 საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობდა. ფესტივალზე, რომელშიც 20 ქვეყნის ანსამბლი იყო ჩართული, ქართველმა მოცეკვავეებმა თავი გამოიჩინეს საშემსრულებლო ოსტატობითა და სასცენო არტისტიზმით. „მხედრული - 2“ ევროპის ფოლკლორის აბსოლუტური ჩემპიონი, გრან-პრისა და გრანტის მფლობელი, ასევე I ადგილისა და ლაურეატის წოდების მფლობელი გახდა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ანსამბლ „მხედრული 2“-ის წევრებს შეხვდა და ბულგარეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე მიღწეული წარმატება მიულოცა.

ანკა ჩხიკვაძე

ქალის ეპიზოდური როლისთვის...

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

არასამთავრობო ამერიკული ორგანიზაცია «მაკ-ჯორჯია» საქართველოში საგანმანათლებლო და კულტურულ პროგრამებსა და პროექტებს ახორციელებს. ერთ-ერთ - სკოლების თეატრალური დასების კონკურსში ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგნის საჯარო სკოლამ (დირექტორი იზოლდა ჯაფარიძე) გრანტი მოიპოვა. თავის მხრივ, სკოლამ რეჟისორის ვაკანსიაზე კონკურსი გამოაცხადა, რომელშიც მწერალმა, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრმა, რეჟისორმა ნანა შაინიძემ გაიმარჯვა. მან 35-მდე მოსწავლე შემოიკრიბა და საკუთარი სცენარის მიხედვით სპექტაკლზე «ქორონიკონი» დაიწყო მუშაობა. წელიწადნახევრის განმავლობაში რეჟისორმა და ნორჩმა შემსრულებლებმა მნიშვნელოვანი სამუშაოები გასწიეს და პირველად დოლოგნელი ნორჩი მსახიობები ქედელი მაყურებლის წინაშე წარსდგნენ. პრემიერამ სრული ანშლაგით ჩაიარა. მაყურებელმა და თეატრალურმა კრიტიკამ ნანა შაინიძის ნამუშევარი დადებითად შეაფასა, ხოლო გუგა კოჩაძემ ვაჟის ეპიზოდური როლის საუკეთესო შესრულებისთვის სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ამ დღეებში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში «მაკ-ჯორჯიას» ორგანიზებით თეატრალური კონკურსი-ფესტივალი ჩატარდა. ფესტივალზე ის დასები მიიწვიეს, რომლებმაც თავის დროზე გრანტები მოიპოვეს, მათ შორის დოლოგნელები.

- წელიწად-ნახევრის მუშაობას უშედეგოდ არ ჩაუვლია, - გვითხრა ნანა შაინიძემ, - ადრე თუ ვაჟის ეპიზოდური როლის შესრულებისთვის მოვიპოვეთ პრიზი, ამჯერად ქალის ეპიზოდური როლისთვის საპატიო პრიზი მარიამ ჯაფარიძემ დაიმსახურა. ამ სპექტაკლით დოლოგნის საჯარო სკოლაში ჩემი მუშაობა ამოიწურა და საქმიანობას შუახევსა და ხულოში გავაგრძელებ.